ხელშეკრულება №2017/225

8 დეკემბერი 2017 წელი

ქ. ბათუმი

ერთის მხრივ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილის მერაბ ჯოჯუას სახით და მეორეს მხრივ, შპს „მეს" (შემდგომში "მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ნინო გვილავას სახით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის „ს¹" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის წესით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა სემსრულებლის მიერ, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5.„მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებას.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მანდატურის ზამთრის ფეხსაცმელის მოწოდების სახელმწიფო შესყიდვა დანართი N1-ის შესაბამისად (CPV 188 151 00).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1200,00 (ერთიათას ორასი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ნებისმიერ ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

3.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორება ხორციელდება შემსყიდველის საბიუჯეტო სახსრებით.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. ანგარიშსწორება იწარმოებს მიმწოდებლის მიერ საქონლის მიწოდების, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და თუ მიმწოდებელი დღგ-ს გადამხდელია, საქონლის ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტის (ზედნადები, ანგარიშფაქტურა)

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
9.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
9.5. მხარე ვალდებულია 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
9.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ იგი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
10.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
10.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

წარმოდგენიდან, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, შემოსავლების სამსახურიდან შესაბამისი ცნობის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადები

5.1. საქონლის მიწოდების ადგილად ითვლება ქ. ბათუმი, ზ. გამსახურდიას ქ. N42.
5.2. საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების დადების დღიდან 2017 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) საქონლის მიწოდების პარალელურად განახორციელოს მისაწოდებელი საქონლის ხარისხის კონტროლი და ინსპექტირება.
6.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:
ა) მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით;
ბ) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს მანდატურის სამსახურის უფროსი - ზვიად ჭრიკიშვილი და მანდატურის სამსახურის უფროსის მოადგილე - ბექა ფურცხვანიძე.
7.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების, აგრეთვე გაწეული მომსახურების ხარისხის, ვადების (ფასის) კონტროლს.
7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.
8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. სხვა პირობები

13.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული წებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

13.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

13.4. დანართი N1 თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

შემსყიდველის რეკვიზიტები:

სახელწოდება: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, კ.-გამსახურდიას 8-10
საიდენტიფიკაციო ნომერი: 203840175
სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22
ანგარიშის ნომერი: GE24NB0330100200165022
ტელეფონის ნომერი: 27 66 49

ეკონომიკური დეპარტამენტის
უფროსის მოადგილე: მერაბ ჯოჯუა

მიმწოდებლის რეკვიზიტები:

ორგანიზაციის დასახელება: შპს „მეს"
ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N15
საიდენტიფიკაციო კოდი: 406 054 273
მომსახურე ბანკის დასახელება: ს.ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია"
ბანკის კოდი: UGEBGE22
ანგარიშის ნომერი: GE24 VT55 0000 0020 1636 02
ტელეფონის ნომერი: 599 61 12 06

შპს „მეს"-ის დირექტორი: წინო გვილავა

შპს "ზეს"

ხელშეკრულება N2017/225

დანართი N1

N	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ფასი	თანხა
1	8680733623817_6WMOTOR E_LUMBERJACK DERI SYH ფეხსაცმელი (42)	ცალი	1	110,00	110,00
2	8681711042538_7F SHERTON_ KINETIX BOT DERI SIYAH ფეხსაცმელი (41)	ცალი	1	110,00	110,00
3	8681711042545_7F SHERTON_ KINETIX BOT DERI SIYAH ფეხსაცმელი (42)	ცალი	2	110,00	220,00
4	8681711042552_7F SHERTON_ KINETIX BOT DERI SIYAH ფეხსაცმელი (43)	ცალი	3	110,00	330,00
5	8681711042569_7F SHERTON_ KINETIX BOT DERI SIYAH ფეხსაცმელი (44)	ცალი	1	110,00	110,00
6	8681711042576_7F SHERTON_ KINETIX BOT DERI SIYAH ფეხსაცმელი (45)	ცალი	1	110,00	110,00
7	8681602696987_7W 72.110376.M_POLARIS BOT DERI SIYAH ფეხსაცმელი (45)	ცალი	1	110,00	110,00
8	8684711278289_7W 72.310713.Z_POLARIS BOT PU SIYAH ფეხსაცმელი (39)	ცალი	1	100,00	100,00
	ჯამი:				1200,00

შპს „ზეს"-ის დირექტორი: ნიკო გვილავა

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

2017 წლის 8 დეკემბერი

ვადასტურებ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მანდატურის ზამთრის ფეხსაცმელის შესყიდვასთან დაკავშირებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში, შპს ,,მეს“ -სთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე _____ მერაბ ჯოჯუა